ოქმი:**ო05. 3722360001**

თარიღი:**26/12/2022**

ოქმი №13
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2022 წელი, 23 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

10.00-10.30 საათი

თავმჯდომარეობდა: პაატა კიღურაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ქ. ვასაძე, გ. მდინარაძე, მ. ჩხიკვიშვილი, ნ. ნადირაშვილი, ბ. კილაძე, ე. გორდელაძე, ვ. ნიჟარაძე, ნ. მახარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
მომხსენებელი: პ. კიღურაძე

2.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
მომხსენებელი: პ. კიღურაძე

3.,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.
მომხსენებელი: პ. კიღურაძე

4.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ “ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
მომხსენებელი: პ. კიღურაძე

სხდომის თავმჯდომარემ, პ. კიღურაძემ, კომისიის წევრებს მოახსენა, რომ მუნიციპალიტეტის მერიიდან საკრებულოში შემოვიდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების ოთხი პროექტი, რომლებიც განხილული და წარდგენილი უნდა იქნას საკრებულოს სხდომაზე საჯარო ადმინისტრაციულ წარმობაზე დაყენების მიზნით, შემდეგ კომისიის წევრებს ცალ-ცალკე გააცნო თითოეული მათგანი. კომისიის წევრებმა იმსჯელეს მათზე და

აღნიშნეს, რომ პროექტები მომზადებული არის ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და ისინი შეიძლება წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის დღის წესრიგში შეტანილი ოთხივე საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი